ხელშეკრულება №13
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „კრისტალი“ შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის - ანზორ ირემაძის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, (SMP200000070>თანხმობა) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ბოსტნეული: 03212100 - კარტოფილი, 03221112 - სტაფილო, 03221111 - ჭარხალი, 03221113 - ხახვი, 03221410 - კომბოსტო, 03221110 - ნიორი, 03221000 - მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, ცერეცო), 03221420 - ყვავილოვანი კომბოსტო, 03221430 - ბროკოლი, 03221230 - ბულგარული წიწაკა(სეზონურად), 03221270 - კიტრი (სეზონურად)** (შემდგომში - „საქონელი“);

1.2 საქონლის ტექნიკური მახასიათებელი, რაოდენობა, ერთეულისა და საერთო ფასები, განისაზღვრება დანართებით N1,2,3, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **47175** (ორმოცდაშვიდიათასასსამოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადებაზე თანდართული სხვა დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები:

3.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

3.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, 20 დღეში ერთჯერ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. მიღება-ჩაბარების წესი:

4.1 საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. საქონლის მიწოდების პირობები:

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, კვირაში ერთჯერ;

5.2 მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, კონკრეტული სახეობა და მიწოდების კონკრეტული დღეები განისაზღვრება შემსყიდველისაგან ელექტრონული ფორმით წინასწარ მიცემული შეკვეთის საფუძველზე (მიმწოდებლს შეკვეთა გადაეგზავნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე @mail). შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეკვეთის გაგზავნის თარიღი ითვლება - შეკვეთის მიცემის თარიღად, ხოლო შეკვეთაში დაფიქსირებული მიწოდების თარიღი - მიწოდების თარიღად;

5.3 საქონლის მიწოდებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 1-2 დღისა;

5.4 საქონლის მიწოდებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაში/საშუალებებში დაცული უნდა იყოს საქონლის შენახვის და ტრანსპორტირებისთვის საჭირო ყველა პირობა;

5.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის რაოდენობა არ აითვისოს სრულად (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ათვისება განისაზღვრება ბავშვთა ფაქტობრივი გამოცხადების შესაბამისად);
5.6 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დროს საქონლის განათავსოს საბავშვო ბაღის წარმომდგენლის მიერ მითითებულ ადგილზე;

6. საქონლის მიწოდების ვადა:

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2020 წლის 15 იანვრიდან - 2020 წლის 10 თებერვლამდე;

7. საქონლის მიწოდების ადგილი:

7.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის 33 ლოკაციაზე, საბავშვო ბაღების მისამართებზე, დანართი N4-ის შესაბამისად;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.1.2. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2.2. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.4.2. მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

9. საქონლის შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტებთან:

9.1 შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მათ შორის:

ა) სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და მოქმედ სტანდარტებს.

ბ) პრეტენდენტი/მიმწოდებელი ვალდებულია იმოქმედოს „მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელ, გადამამუშავებელ ან/და დისტრიბუტორ ბიზნესოპერატორთა ვალდებულებებისა და მათი აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის N619 დადგენილების შესაბამისად.

გ) მოწოდებული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N72 დადგენილებით დამტკიცებული ,,სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სასურსათო პროდუქტის შესაფუთ მასალებსა და ნაკეთობებში ქიმიურ ნივთიერებათა საკონტროლო მაჩვენებლებისა და მიგრაციის დასაშვებ რაოდენობას, რომელიც ზიანს არ აყენებს სურსათს და უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

დ) მოწოდებული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებითა და ნორმებით“ (დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N301/ნ ბრძანებით) განსაზღვრულ სანიტარულ მოთხოვნებს საკვები პროდუქციის მიმოქცევისას (საკვები პროდუქციის დამუშავების, წარმოებაში პროდუქციის ახალი სახეობის ჩაშვების, მისი გადამუშავების, წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, შესყიდვის, ქვეყანაში შემოტანისა და რეალიზაციის ეტაპებს;

ე) შემსყიდველისათვის მიწოდებული სურსათის ყოველი პარტია უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დასაშვებ და პროდუქტისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლებს პოტენციურად საშიში ქიმიური ნაერთებისა და ბიოლოგიური ობიექტების შემცველობით.
ვ) არსებული ნორმატიული დოკუმენტების ცვლილების ან/და ახალი ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ის შემოღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სურსათი და მასთან დაკავშირებული გარემოებები შეუსაბამოს შეცვლილ გარემოებებს;

10. საქონლის ლაბორატორიული შემოწმება:

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია ერთჯერ თავისი ხარჯებით წარმოადგინოს საქონლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის ოქმი;
10.2 ნიმუშის აღება და ლაბორატორიული შემოწმება უნდა განხორციედლეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების შესაბამისად;
10.3 შემსყიდველი უფლებამოსოლია მიმწოდებელს მოსთხოვოს იმ ლაბორატორიის აკრედიტაციის მოწმობა, სადაც უნდა განხორციელდეს საქონლის ლაბორატორიული შემოწმება, იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტებული ლაბორატორია შერჩეული იქნება მიმწოდებლის მიერ;
10.4 ნიმუშების აღება განხორციელდება ერთობლივად შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირების მიერ, შემსყიდველის მიერ შერჩეული საბავშო ბაღიდან/ბაღებიდან, აღბული ნიმუში შეიფუთება დადგენილი წესის მიხედვით და გაიგზავნება აკრედიტებულ ლაბორატორიაში;
10.5 საქონლის მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის, აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის ოქმის დაგენილ ვადაში წარუდგენლობა გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ხოლო თუ ვადაგადაცილებული დღეების ოდენობა გადააჭარბებს 15 კალენდარულ დღეს, აღნიშნული ფაქტი ჩაითვლება ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებად და შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, უპირობოდ შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიწოდებლის მიმართ გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები;
10.6 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს საქონლის ლაბორატორიული კვლევა ნებისმიერ დროს;
10.7 საქონლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის, აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის ოქმით, თუ დადასტურდება, რომ მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშკრულებით დადგენილ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, უპირობოდ შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიწოდებლის მიმართ გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
11.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მთავარი სპეციალისტი კვების დარში - ლია მოქია;
11.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
11.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები . იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს , მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

13.2 მიწოდებული საქონლის ყოველი პარტიიდან, შემსყიდველის მიერ გარკვეული ნაწილის დაწუნების (უხარისხობის გამო) შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია იმავე დღეს 18:00სთ-მდე ჩაანაცვლოს იგი ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი საქონლით, სრული მოცულობით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მიწოდება ჩაითვლება არასრულყოფილად მიწოდებაში და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

13.3 დადგენილ ვადაში განმეორებით შეკვეთილი პარტიის მიუწოდებლობის, დაგვიენებით მიწოდების, არასრულყოფილად მიწოდების, უხარსიხო საქონლის მიწოდების და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე ადრე, ცალმხრივად შეწყვეტის საკითხი და მიმწოდებლის მიმართ გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

13.4 დასარიცხი პირგასამტეხლოს დღეების ოდენობა განისაზღვრება მომდევნო მიწოდების დღემდე;

13.5 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.6 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

14.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს:

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს;

15.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

15.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

16. დავების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. დაუძლეველი ძალა

17.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

17.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

17.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 20 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2020 წლის 15 იანვრიდან - 2020 წლის 15 მარტამდე;

19. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მამუკა შამილიშვილი

kindergartens union of Batumi

Digitally signed by kindergartens union of Batumi
Date: 2020.01.15 13:28:34 +04'00'

მიმწოდებლი:
შპს „კრისტალი“
მის : ქ. ბათუმი, ა. შანიძის ქN22
საიდენტიფიკაცო კოდი: 445457345
სს ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ: GE87TB 7257 0360 2010 0005

ანზორ ირემაძე

Anzor Iremadze

Подписано цифровой подписью: Anzor Iremadze
Дата: 2020.01.15 13:16:07 +04'00'

დანართი N 1 - ტექნიკური მახასიათებლები

N	საქონელი დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები
1	კარტოფილი	კარტოფილის ტუბერი (ბოლქვი) - საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ღივის გარეშე, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების გარეშე , მოყინული და მომწვანო შეფერილობის გარეშე, მიწის შემცველობა არ არის საერთო წონის 1%-ზე მეტი, არ არის ტკბილი ჯიშის (ბატატი), კარტოფილის ტუბერის დიამეტრის ზომა არანაკლებ 6სმ, ტუბერს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები.
2	სტაფილო	საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, შავი წერტილების გარეშე, მოგრძო ფორმის, ღეროები დაჭრილი, სუნი, ფერი და გემო არის დამახასიათებელი აღნიშნული პროდუქტისათვის, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების გარეშე, არ არის მოყინული, მიწის შემცველობა არ არის საერთო წონის 1%-ზე მეტი, თითოეული ცალის სიგრძე არის 12-25 სმ და დიამეტრი არანაკლებ 2 სმ, თითოეულს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები.
3	ჭარხალი	საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ნაკლებძარღვიანი, მრგვალი ან მოგრძო ფორმის, მუქი წითელი შეფერილობის გულით, სიცარიელისა და ლაქების გარეშე, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების გარეშე, არ არის მოყინული, მიწის შემცველობა არ არის საერთო წონის 1%-ზე მეტი, თითოეული ბოლქვის წონა არის არანაკლებ 200 გრ, თითოეულ თავს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები
4	ხახვი	საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, თხელფოთლიანი, ღივის გარეშე, მრგვალი ან ოვალური ფორმის, ღეროები დაჭრილი, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების გარეშე, არ არის მოყინული, თითოეული თავის მინიმალური დიამეტრი არის არანაკლებ 5 სმ-ის, თითოეულ ბოლქვს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები
5	კომბოსტო	საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, თხელკანიანი, შავი წერტილების გარეშე, კარგად შეკრული თავები, მრგვალი ან ოვალური ფორმის, ღეროები დაჭრილი, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების გარეშე, არ არის მოყინული, მიწის შემცველობის გარეშე, თითოეული თავის წონა არის 0.9–1.5 კგ, თითოეულ თავს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები, შეფუთვა მთლიანობის დარღვევის გარეშე
6	ნიორი	საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ღივის და ღეროს გარეშე, თხელკანიანი, მრგვალი ან ოვალური ფორმის, მსხვილი ბოლქვით და კბილებით, თეთრი-მოვარდისფრო ფერის, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების გარეშე, არ არის მოყინული, არის მიწის შემცველობის გარეშე, თითოეული ბოლქვის მინიმალური დიამეტრი არის არანაკლებ 4 სმ, თითოეულ ბოლქვს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები

7	მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, ცერეცო)	მწვანე შეფერილობის ფოთლებით, ახალი, საღი, მშრალი, სუფთა, ფესვების გარეშე, კონკრეტული ჯიშისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სურნელებით, არ არის გაყვითლებული, გაყვავილებული, დამპალი, მექანიკური დაზიანებების გარეშე, მიწის შემცველობის გარეშე, გააჩნია მოკლე, წვრილი ღერო, ქვედა განშტოებიდან არაუმეტეს 10 სმ, თითოეულს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები, დაფასოებული არის პლასტმასის ან ქაღალდის ჰაერგამტარ ყუთებში.
8	ყვავილოვანი კომბოსტო	თითოეული მოწოდებული პარტია არის საღი, სუფთა, მშრალი, მუქი წერტილებისა და ლაქების გარეშე, კარგად შეკრული თავები, ღეროები დაჭრილი, თეთრი ბოლქვით, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების გარეშე; არ არის მოყინული, ჯიშისათვის დამახასიათებელი არანაკლებ საშუალო ზომისა, თითოეულ თავს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები. არ აღენიშნება მისთვის დამახასიათებელი დაავადებები (პითიუმი, ფუზარიოზი); შეფუთვა მთლიანობის დარღვევის გარეშე.
9	ბროკოლი	თითოეული მოწოდებული პარტია არის საღი, სუფთა, მშრალი, მუქი წერტილებისა და ლაქების გარეშე, კარგად შეკრული თავები, ღეროები დაჭრილი, არ არის ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული),მექანიკური დაზიანებების გარეშე, არ არის მოყინული; ჯიშისათვის დამახასიათებელი არანაკლებ საშუალო ზომისა, თითოეულ თავს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები. არ აღენიშნება მისთვის დამახასიათებელი დაავადებები;
10	ბულგარული წიწიაკა (სეზონურად)	საღი, სუფთა, მშრალი, საშუალო სიმკვრივის, მწიფე, გარედან თეთრი ჩანართების გარეშე, არ იქნება ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), არ იქნება მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა), არ იქნება მწარე, იქნება მიწის შემცველობის გარეშე, თითოეულის მინიმალური სიგრძე არანაკლებ 8 სმ; თითოეული ნაყოფის ზომის ცდომილება არაუმეტეს 20%-ისა, მაგრამ ეს არ აღემატება ყოველ მოწოდებულ პარტიაში 5%-ს, თითოეულს არ აღენიშნება სოკოვანი, აქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები;
11	კიტრი (სეზონურად)	საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, გადაუმწიფებელი და შუაგულში სიცარიელის გარეშე, არ არის მწარე, ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გული), მექანიკური დაზიანებების არის. თითოეულს არ აღენიშნება სოკოვანი, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები, არ არის მოყინული, არის მიწის შემცველობის გარეშე, თითოეულის მინიმალური დიამეტრი არის არანაკლებ 3 სმ და არაუმეტეს 5 სმ, ხოლო სიგრძე 14-20 სმ-მდე. დასაშვებია საერთო წონასთან შეფარდებით არაუმეტეს 20%-ისა სიგრძე იყოს 12–14 სმ;

დანართი N2 - ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	კარტოფილი	კგ	18000	0.87	15660
2	სტაფილო	კგ	6000	1	6000
3	ჭარხალი	კგ	2700	0.90	2430
4	ხახვი	კგ	2250	1.20	2700
5	კომბოსტო	კგ	4800	0.50	2400
6	ნიორი	კგ	360	2	720
7	მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, ცერეცო)	კგ	2250	3.70	8325
8	ყვავილოვანი კომბოსტო	კგ	1800	2.50	4500
9	ბროკოლი	კგ	1200	3.70	4440
ჯამი					**47175**

დანართი N3 - ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ

N	საონლის დასახელება	წარმოშობის ქვეყნა
1	კარტოფილი	საქართველო
2	სტაფილო	
3	ჭარხალი	
4	ხახვი	
5	კომბოსტო	
6	ნიორი	
7	მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, ცერეცო)	
8	ყვავილოვანი კომბოსტო	
9	ბროკოლი	

დანართი N4 - მისამართები

საბავშვო ბაღი	მისამართი
N1	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ N25
N2	ქ. ბათუმი, ვ. ფშაველას ქ N5
N3	ქ. ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N51
N4	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N8
N5	ქ. ბათუმი, გ. მაზნიაშვილის ქ. N28
N6	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N22 ა
N7	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N17
N8	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N4 ა
N9	ქ. ბათუმი, ნ. ფიროსმანის ქ. N9
N10	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N14
N11	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N5
N12	ქ. ბათუმი, ა. წერთლის ქ. N30
N13	ქ. ბათუმი, ი. ანდრონიკაშვილის ქ. N44
N14	ქ. ბათუმი, ვ. ფშავალას ქ. N83
N15	ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. N65
N16	ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. N113
N17	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N104
N18	ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქ. N3
N19	ქ. ბათუმი, სვიშევსკი ქ. N1
N20	ქ. ბათუმი, ჯ. ქათამაძის ქ. N38
N22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. N4
N23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N281
N24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N318
N25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N102
N26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. N2
N27	ქ. ბათუმი , მ. ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
N28	ქ. ბათუმი, ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ N4
N29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება, პეტრე იბერის ქN1
N30	ქ. ბათუმი, ბარცხანის დასახლება, ი. ნონეშვილის ქ N 60
N31	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. N14
N32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის XII ჩიხი
N33	ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება, მამია ვარშანიძის I შესახვევი
N34	ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, ც. დადიანის ქN14